სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 604
(ოქმი # 527)

თბილისი 2025 წლის 12 აგვისტო

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად,

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს” დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.
2. განმცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ვებ-გვერდებზე.

დანართი: განცხადება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი იაკობიშვილი

იზაბელა ოსიპოვა

ლაშა ტუღუში

განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35^{10}-ე მუხლის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

2. დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი.

3. დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

4. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად (ეტაპად).

5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები:

   5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;
   5.2 CV;
   5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   5.4 სამოტივაციო წერილი;
   5.5 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;
   5.6 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო ,,მაუწყებლობის შესახებ,, საქართველოს კანონს, კერძო აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნების ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე;

6. დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ შესაბამისად დამოწმებული ასლების სახით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #31, ან გამოაგზავნონ დოკუმენტების ორიგინალების დასკანირებული ვერსიები ელექტრონული სახით შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე - board@1tv.ge 2025 წლის 13 აგვისტოდან 2025 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

7. დირექტორის კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს დირექტორობის კანდიდატთა სიას და მომდევნო 7 დღის განმავლობაში ნიშნავს დირექტორს.

8. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუქნტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს აპარატი მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც

გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, პირი ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.

9. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

10. მე-2 ტურში გასულმა კანდიდატებმა ელექტრონული სახით ელ. ფოსტის მისამართზე - board@1tv.ge უნდა წარმოადგინონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მართვის ხედვა (არაუმეტეს 2 ფურცლისა).

11. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება.

12. მე-2 ტურის გამართვის თარიღი, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

13. წინამდებარე განცხადება და ინსტრუქცია „კონკურსის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ" განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" ვებ-გვერდზე: www.1tv.ge და www.ajaratv.ge.